ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №13

16.07.2022 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
11:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" **(12-032219594-03; 14.07.2022).**

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომა წარიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა კომისიებთან ერთად.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

გ.თალაკვაძემ ვრცლად ისაუბრა 2022 წლის დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შესახებ და გამოთქვა მზადყოფნა კითხვების არსებობის შემთხვევაში, დეტალურად განეხილა საკითხი.

როგორც მან განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება ფაქტიურად მიღებული შემოსავლების ბიუჯეტში ასახვით. კერძოდ: იზრდება გადასახადების ნაწილში საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მისაღები შემოსავლები 40 000,0 ათასი ლარით (საქართველოს ფინანსთა

სამინისტროს 2022 წლის 11 ივლისის NN 04-03/62946 წერილი) და გრანტების ნაწილში გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან - 1 017,5 ათასი ლარით (სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (ს/ნ205298211) მიერ სახაზინო ანგარიშებზე არსებული თავისუფალი ნაშთის და მიმდინარე წელს მიღებული შემოსავლის (სს „არდი დაზღვევას" მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩარიცხული თანხები) ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხული თანხა). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ **41 017,5 ათასი** ლარით და შეადგენს **1 435 751,0 ათას** ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – **37 000,0 ათასი** ლარით;
- სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) - **330,0 ათასი** ლარით;
- სარეზერვო ფონდი **(კოდი 10 22)** - **4 549,4 ათასი** ლარით.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება **(კოდი 10 42)** პროგრამის ასიგნება - **1 836,9 ათასი** ლარი.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: ქალაქ თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 1 ერთეულით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა - 30 ერთეულით.

დასასრულს, **გ.თალაკვაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 360 971,5 ათასი** ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება **74 779,5 ათასი** ლარით.

ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 285 871,5 ათასი** ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო **58 578,4 ათასი** ლარით.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

- მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის **(12-032219594-03; 14.07.2022)** საკრებულოს სხდომაზე გატანა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032219594-03; 14.07.2022)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე